ხარკოვის ოლქის კუპიანსკის სატყეო მეურნეობის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ლენინგრადის ოლქის კინგისეპის მტს-ის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ტრაქტორისტებმა;

ამიერკარპატის ოლქის სევლიუშის ოკრუგის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის კლეტსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია ნივას“ წევრებმა;

ბობრუისკის ოლქის პარიჩის რაიონის კოლმეურნეობა „პობედას“ წევრებმა.

(გაგრძელება იქნება)

მეშახტის დღის შესახვედრად

სტახანოველი მეშახტეები მამაცურად შრომობენ

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის ასობით მუშა მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგას და სასახელოდ ანაღდებს მეშახტის დღის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებას. ლენინის სახელობის შახტის სტახანოველი მეშახტეები ა. გიორგაძე, ნ. ქოჩერაშვილი და ს. გვენეტაძე აგვისტოს პირველი დღეებიდანვე 150-180 პროცენტით ასრულებენ ქვანახშირის მონგრევის დღიურ ნორმებს.

სტალინის სახელობის შახტში აგვისტოში დაწინაურდა მრავალი მეშახტე, რომლებიც წინათ გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებდნენ. მნგრეველიმებიგე ვ. ფანჩულიძე ახლა ქვანახშირის მონგრევის დღიურ დავალებას 50 პროცენტით აჭარბებს. ასეთივე წარმატება აქვს მნგრეველ დ. გაბრიაძეს. ნ. ბრეგაძის საწარმოო მაჩვენებელი 130 პროცენტია. სტახანოველმა მნგრეველმა ს. ლიტვინოვმა მეშახტის დღისათვის მზადების პერიოდში უფრო გააძლიერა მუშაობა. მან აგვისტოს პირველ ნახევარში 100 ტონა ქვანახშირი მოანგრია გეგმის გადამეტებით.

სტალინის სახელობის შახტის მე-5 უბანი მეშახტის დღეს ხვდება ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიკური ვსების წესის ათვისებით. ამ მეთოდით მუშაობის შედეგად უბანს უკვე ამოღებული აქვს 3.200 ტონაზე მეტი ქვანახშირი. უბანში ახალი მეთოდით მუშაობას ყველაზე უკეთ დაეუფლა და დღიურ დავალებას 80 პროცენტის გადაჭარბებით ანაღდებს ახალგაზრდა მნგრეველი გ. ცირეკიძე.

ასევე მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ეგებებიან მეშახტის დღეს მოლოტოვის სახელობისა და გელათის შახტების კოლექტივები.

წყალტუბოელ მშენებელთა წარმატება

წყალტუბო. („კომ.“ კორ.). სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო წყალტუბოში მეშახტეებისათვის ახალ სანატორიუმს აშენებს. სანატორიუმის მშენებლებმა გადაწყვიტეს ჩაბმულიყვნენ მეშახტის დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებაში შეჯიბრებოდნენ მოწინავე მეშახტეებს.

მართლაც მეშახტის დღის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მშენებლები მასობრივად ჩაებნენ. აგვისტოს მეორე ნახევრისათვის ამ შეჯიბრებაში დაწინაურდა სტახანოველი დურგლის ა. კუციას ბრიგადა. ამ ბრიგადაში 18 ახალგაზრდაა. მათი უმრავლესობა აღზრდილია ბრიგადირის მიერ. ბრიგადაში განსაკუთრებით გამოირჩევიან პ. ჩიქობავა, გ. ხვადაგიანი, თ. ხლოპოვი, ბ. ჩაკვეტაძე და ა. ხურციძე. თვითეული მათგანი ყოველდღიურ დავალებას დიდი გადამეტებით ანაღდებს.

შრომის ნაყოფიერების ზრდის პარალელურად მშენებელთა გამომუშავებაც იზრდება.

მეშახტის დღის აღსანიშნავად მშენებელმა დურგლებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულება — მიმდინარე თვის საწარმოო დავალება 27 აგვისტოსათვის შეასრულონ 120 პროცენტით.

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, სავსებით მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად ქალაქ ქუთაისის პარტიულმა, საბჭოთა და სახალხო განათლების მუშაკებმა სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს და მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა საყოველთაო სავალდებულო სწავლის კანონის განხორციელებას. მიუხედავად ამისა ზოგან (ქალთა მე-3, მე-6, მე-11, ვაჟთა მე-4, მე-8 სკოლები) ჯერ კიდევ არ არის მიღებული საჭირო ზომები სკოლებს ჩამოშორებული ყველა მოსწავლის სწავლებაში ჩასაბმელად, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ (გამგე ა. კოპალაძე) წელს მთავარ ამოცანად დაისახა მასწავლებელთა სწორად შერჩევა და განაწილება. მასწავლებელთა შორის უკვე განაწილებულია გაკვეთილები ცენზისა, სპეციალობისა და დატვირთვის ნორმების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. გადასამზადებელ კურსებზე გაიგზავნა 50-მდე მასწავლებელი. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ იქნა 20 პედაგოგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ საკმაო მეთოდურ დახმარებას ვერ იღებენ დამწყები მასწავლებლები, რომლებსაც ნაკლები პედაგოგიური გამოცდილება აქვთ.

წელს სასკოლო, სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის გამოყოფილი იყო 1.080 ათასი მანეთი. გათვალისწინებული სამუშაოები ვადაზე ადრე დაამთავრეს ქალთა 1-ლ, მე-2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, ვაჟთა 1-ლ, მე-2, 3, 5, 6, 8, 10 სკოლებმა და მე-7 საბავშვო ბაღმა. მაგრამ ეს არ ითქმის ვაჟთა მე-4 სკოლისა და საბავშვო სახლის შესახებ, სადაც შეუწყნარებლად ჭიანურდება რემონტი.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლების ნივთიერი ბაზის განმტკიცებას, სასკოლო პედაგოგიური კაბინეტებისა და ლაბორატორიების შევსებას საჭირო ხელსაწყო-იარაღით. ამ დანიშნულებით გამოყოფილი 44 ათასი მანეთი ათვისებული იყო ჯერ კიდევ 1 ივლისისათვის. ამასთან სასკოლო ბიბლიოთეკებს შეემატა დიდძალი მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზამთრისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა სათბობით უზრუნველყოფას. მაგრამ ამ მხრივ ჯერჯერობით თითქმის არაფერი გაკეთებულა. სამრეწველო კომბინატმა, რომელსაც დავალებული აქვს აღნიშნული საქმე, დღემდე მხოლოდ 70 კუბმეტრი შეშა მოზიდა.

საჭიროა დროზე აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და ყოველ მხრივ მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს.

გ. მეფისაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

უნდა დაჩქარდეს მზადება

მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ქარელის რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით, მაგრამ მაინც არის ნაკლოვანებანი.

სასირეთის დაწყებითი სკოლისათვის უნდა გაეკეთებინათ კაპიტალური რემონტი, დაემზადებინათ 10 ახალი მერხი და შეეკეთებინათ სასკოლო ინვენტარი, მაგრამ ჯერ არაფერი გაკეთებულა. უფრო მეტიც, სკოლის ყველა სასწავლო ოთახი გამოყენებულია ხორბლის საწყობად.

მართალია, ამის გამო ქარელის რაისაბჭოს აღმასკომმა სასჯელი დაადო სასირეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქ. თოდაძეს, მაგრამ ეს უკანასკნელი არც კი ფიქრობს სკოლის შენობიდან ხორბლის გატანას. რა ფასი აქვს რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებას, თუ იგი სისრულეში არ იქნება მოყვანილი?!

სარემონტო სამუშაოები ასევე ჭიანურდება ძლევიჯვრის დაწყებითს, დიდი ახალსოფლის 8-წლიან სკოლებში.

უფრო ცუდი მდგომარეობაა სკოლების შეშით უზრუნველყოფის საქმეში. გეგმით გათვალისწინებული 3.400 კუბმეტრი შეშის ნაცვლად სკოლებში მოზიდულია მხოლოდ 332 კუბმეტრი.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სასწავლო ლიტერატურისა და ნივთების შემოზიდვის საქმეშიც. განსაკუთრებით მცირე რაოდენობით მიიღეს VIII კლასისათვის — ქართული ენის გრამატიკა, VII კლასისათვის — საქართველოს გეოგრაფია და სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელმძღვანელო. სრულებით არ იშოვება საძელნეები. სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის ჯერ კიდევ შესაძენია 25 ათასი მანეთის ლიტერატურა.

სასწავლო წელი მოახლოვდა. რას ფიქრობს ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება?

ვ. გურგენიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მოწინავე მეკონსერვეთა რესპუბლიკური თათბირი

გორი. (საკ. კორ.). გორში გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით გაიმართა საქართველოს საკონსერვო ქარხნების სტახანოველთა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რესპუბლიკური თათბირი.

შრომის მეთოდების, რაციონალიზატორული და საგამომგონებლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ თათბირზე მოხსენებები გააკეთეს ქუთაისის, სოხუმის, სამტრედიის და გორის საკონსერვო ქარხნების მთავარმა ინჟინრებმა პ. კილაძემ, ნ. ხუხუნაიშვილმა, ვ. მალიევმა და ლ. ხარატიშვილმა.

რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის მუშაკები მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგანან და სერიოზულ წარმატებებს აღწევენ საწარმოო გეგმების შესრულების საქმეში. კარგ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს გორის საკონსერვო ქარხანა, რომელიც ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ დროშას. ქარხანაში სათანადო ყურადღებას აქცევენ და ეხმარებიან გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს. ქარხნის მუშამ რ. ამირიძემ წელს გამოიგონა წიწაკის გულის გამომლები მანქანა, რომელიც ქარხანას წელიწადში 5.000 მანეთ ეკონომიას მისცემს. აქვე გამოიგონეს აგრეთვე კაკლისა და კურკოვანი ხილის დასაჩხვლეტი მანქანა, რომლის გამოყენებამ საგრძნობლად შეამცირა მუშახელი, გაზარდა შრომის ნაყოფიერება და ქარხანას ყოველწლიურად 12.000 მანეთამდე ეკონომიას აძლევს. ასეთ მანქანას გორელები დაამზადებენ სამტრედიისა და ქუთაისის საკონსერვო ქარხნებისთვისაც.

ახალ წარმატებებს აღწევენ ქუთაისელი მეკონსერვეები. ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში გამოიგონეს მანქანა, რომლის გამოყენება წარმოებას 15.000 მანეთ ეკონომიას აძლევს. წელს ქუთაისელ მეკონსერვეთა მიერ შეტანილია 13 რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც გამოყენებულია და წელიწადში 120 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა.

მოხსენებათა გამო სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველი მეკონსერვეები თ. ხმიადაშვილი, მ. ყანჩაველი და ი. კლიმენკო (გორი), თ. სირაძე და გობორევა (ქუთაისი), კიკაჩეიშვილი (სამტრედია), საქართველოს კონსერვტრესტის მმართველის მოადგილე ს. ფურცელაძე და სხვები.

მოწინავე მეკონსერვეთა რესპუბლიკურმა თათბირმა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახა ღონისძიებანი.

კოლმეურნეობა აშენებს ორსართულიან ბეღელს

სიღნაღი. (საკ. კორ.). დასასრულს უახლოვდება დაბა წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ორსართულიანი ბეღლის მშენებლობა. ზედა სართულში დაეტევა 200 ტონამდე სიმინდი, ხოლო ქვედა სართულში 350 ტონა ხორბალი.

თბილისი. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. **სურათზე:** — სტახანოველი ამწყობი ვლადიმერ გიგოშვილი ახალი ავტომატური საქსოვი დაზგების აწყობისას.
ფოტო რ. აკოფოვისა

მანქანათმშენებლები ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

მექანიკური საამქროს კოლექტივი მოწინავეა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. საამქრომ ივლისის დავალებას 14 პროცენტით გადააჭარბა. დიდად გაიზარდა მუშათა შრომის ნაყოფიერება, გამრავლდა სტახანოველთა რიგები. ხარატების ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ამირგულოვი, ივლისის გეგმა 234 პროცენტით შეასრულა. მექანიკოსები ამჟამად წარმოებაში ახლად ათვისებული ჩაის მრეწველობისათვის ახალი სისტემის საგრეხი და ყურძნის საწნეხი კომბინირებული მანქანების დეტალების გამოშვებაზე მუშაობენ.

მრავალდაზგოსანმა მღარავმა ლევან გოქაძემ მშვიდობის ვახტზე დადგომა შრომის ნაყოფიერების ამაღლებით აღნიშნა. მან შეჯიბრებაში გამოიწვია მრანდავი ვ. კვატაშიძე და ივლისის დავალება 517 პროცენტით გაანაღდა. ამხ. მიქაძემ მრავალი სიახლე შეიტანა დაზგების ნაყოფიერების გადიდებისა და დეტალების დამზადების დაჩქარებაში.

მრანდავმა ვ. კვატაშიძემ, რომელიც გოქაძეს ეჯიბრება, ივლისის დავალება 502 პროცენტით შეასრულა, ხოლო მჩარხავმა ტ. კოვალიოვმა—500 პროცენტით. ასევე წარმატებით მუშაობენ მღარავი ვ. ვაშაკიძე, მჭედელი ა. გიგაური, ხარატები ე. გორა, დ. არტამონოვი, ვ. ჯიქურაული და მჩარხავი გ. კუდუხოვი.

სამსხმელო საამქრომ ძირითადად უკვე უზრუნველყო ქარხნის მიერ წელს გამოსაშვები მანქანებისათვის დეტალების დამზადება. ყურძნის საწნეხი „მობილის“ სისტემის 30 მანქანის დეტალები საამქრომ 1 აგვისტოსათვის მთლიანად ჩამოასხა. საამქროს კოლექტივი აგვისტოს პირველი რიცხვებიდან მუშაობს ყურძნის საწნეხი მანქანებისა და ჩაის დამმუშავებელი მანქანა-როლერების დეტალების წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებაზე.

შეჯიბრებაში დაწინაურდა მსხმელთა ბრიგადა პ. გიგაიას ხელმძღვანელობით. მეყალიბეებმა ნ. წიქორიძემ და ხ. სუხოვმა ივლისის გეგმა სამმაგად შეასრულეს. სახელოსნო სასწავლებლის ახლახან კურსდამთავრებული ახალგაზრდა მეყალიბე პ. სერემჩენკო სტახანოველი გახდა და ივლისის დავალება 250 პროცენტით შეასრულა.

მანქანათმშენებლები მაღალნაყოფიერი შრომით განამტკიცებენ სამშობლოს ძლიერებას.

ზესტაფონის რაიონში არც ერთი საკოლმეურნეო აბანო არ მუშაობს

ზესტაფონის რაიონში 1947-1948 წლებში გაჩაღდა საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობა. სულ განვლილ პერიოდში 14 აბანოს შენება დაიწყეს აქედან ზოგი ააშენეს, ზოგის შენება კი მიატოვეს. შემდეგში საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობა სავსებით მიივიწყეს. ამით უნდა აიხსნას, რომ დღემდე რაიონში არც ერთი საკოლმეურნეო აბანო არ მუშაობს. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლისა და საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილებაში ახლაც სჯერათ, თითქოს სოფელ თვრინის მიქოიანისა და სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო აბანოები მუშაობენ. შემოწმებით დადასტურდა, რომ ეს აბანოები მოუწყობელია და უმოქმედოდ დგანან.

წელს რაიონის კოლმეურნეობებში გეგმით უნდა აშენდეს 24 საკოლმეურნეო აბანო, მაგრამ დღემდე არც ერთ კოლმეურნეობაში არ შესდგომიან მშენებლობას.

ს. მუმლაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გრძელვადიანი სესხი კოლმეურნეობებს

ხაშური. (საკ. კორ.). სასოფლო-სამეურნეო ბანკის ხაშურის განყოფილება რაიონის კოლმეურნეობათა კაპიტალური მშენებლობისა და საწარმოო ღონისძიებების დასაკრედიტებლად წელს გრძელვადიანი სესხის სახით გასცემს 1.027.000 მანეთს.

1 აგვისტოსათვის უკვე გაცემულია 675.000 მანეთი, აქედან მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებებზე — 256 ათასი მანეთი, მევენახეობაზე — 193.000 მანეთი და მინერალური სასუქების შესაძენად—226 ათასი მანეთი.

ხცისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ კრედიტის სახით მიიღო 39 ათასი მანეთი, თავვეთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ—27 ათასი მანეთი, დიდი ფლევის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობამ—38 ათასი მანეთი და სხვა.

ალაზნის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია

ადიდების დროს მდინარე ალაზანი ანგრევდა ალაზნის სარწყავი არხის სათავეს და დიდად აფერხებდა რამდენიმე ათასი ჰექტარი საკოლმეურნეო ფართობის მორწყვას. ყოველწლიურად დიდი მუშაობა უხდებოდათ თელაველ, გურჯაანელ და სიღნაღელ კოლმეურნეებს ალაზნის სარწყავი არხის სათავის გასამაგრებლად. ამასთანავე შესაკეთებელი იყო წყალშემკრები კოლექტორები, საჭირო იყო ახალი წყალგანმანაწილებლების მშენებლობა.

1945 წელს დაიწყო ალაზნის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია. აშენდა ახალი რკინა-ბეტონის სათავე, გამაგრებულ იქნა წყალსაშვები კოლექტორები, აშენდა ათასზე მეტი რკინა-ბეტონის წყალგანმანაწილებელი.

ამჟამად სარწყავი სისტემის სიგრძე 96 კილომეტრია. იგი იწყება სოფელ ტონინაში (თელავის რაიონი) და უერთდება ალაზანს მილარის მინდვრებთან. არხი მორწყავს გურჯაანის, სიღნაღის და ნაწილობრივ წითელწყაროს რაიონების 37.100 ჰექტარ საკოლმეურნეო ფართობს.

თეთრწყლებში სკოლას აშენებენ

თელავი. (საკ. კორ.). თეთრწყლებში, რომელიც თელავს დაშორებულია 18 კილომეტრით, ფშავ-ხევსურები ცხოვრობენ. აქაური ახალგაზრდობა დიდად მოწყურებულია სწავლას. 8-წლიანი სკოლის შენობა, რომელიც 5 ოთახისაგან შედგება, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ამ სოფლის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. აფციაური) წევრთა კრებამ ერთხმად გადაწყვიტა ახალი სასკოლო შენობის აგება.

კოლმეურნეებმა სკოლის მშენებლობისათვის მიზიდეს ქვა-ქვიშა, კირი და მუშაობას შეუდგნენ. ერთი წლის შემდეგ თეთრწყალელებს ახალი, 12-ოთახიანი კარგად მოწყობილი სასკოლო შენობა ექნებათ.

წერილები სოფლიდან

1. გზა

დილაადრიან, დანიშნულ დროს სასტუმრო „ოდიშთან“ მოაყენა შოფერმა მსუბუქი ავტომანქანა. მე უკვე მზად ვიყავი გასამგზავრებლად, ადრევე დავტოვე ოთახი და სასტუმროს შესასვლელთან ველოდებოდი მანქანას. ვიცანი იგი იმ ნიშნების მიხედვით, რაც მისმა გამომგზავნმა წინასწარ მითხრა: ეს იყო საკმაოდ ძველი მარკის, მაგრამ თითქოს კონვეიერიდან ახალი ჩამოსული, გაკრიალებული შავი მანქანა „მ-1“. მისკენ ორიოდე ნაბიჯი გადავდგი, თუმცა ნაკლები რწმენით — „იქნებ ის არაა“.

— თქვენ ხართ, მგონი, ჩემი მგზავრი, — ამ სიტყვებით შემომეგება კაბინიდან გადმოსული ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თავაზიანი ღიმილით მანიშნა მანქანისაკენ. გარეგნობით იგი არ ჰგავდა შოფერს. ერთი შეხედვით ის იყო კოლმეურნე და თითქოს არც ისე დიდი ხანია გადმომჯდარა ცხენიდან მანქანაში. თუმცა უკვე საკმაოდ ნახმარი, მაგრამ ტანზე კოხტად მორგებული, სამხედრო ყაიდაზე გემოვნებით შეკერილი შარვალ-ხალათი და მსუბუქი საცვეთები გაფიქრებინებდათ, რომ მას სხვანაირი ტანსაცმელი არც დაშვენდება და არც სცმია.

მე მანქანისაკენ გავემართე. „ალბათ, მისთვისაც უთქვამთ ჩემი გარეგნული ნიშნები“, — ვიფიქრე და უფრო იმიტომ, რომ უხერხული სიჩუმე დამერღვია, ვუთხარი—„როგორ გაიგეთ, რომ მე ვიყავი თქვენი მგზავრი?“.

— დაბრძანდით, — გამიღო მან კაბინის კარი.—ძველი ალღოთი გავიგე, — მითხრა მერე ხუმრობით, როცა უკვე ჩავსხედით და მანქანა ადგილიდან დაიძრა, — თორემ ამ ბოლო დროს ჩვენი ქალაქი მართლაც რომ მდიდარია სტუმრებით. წინათ მეზობელი რაიონიდანაც რომ ვინმე ჩამოვიდოდა, — ვიკითხავდით—ვინაა ეს უცხო კაციო. ახლა ჩვენს „ოდიშს“ ზოგჯერ უძნელდება კიდეც ყველა ჩამოსულის დაბინავება.

ვატყობ, რომ მანქანა არა იმ მიმართულებით მიდის, საითაც მეგულება დანიშნული სოფელი, მაგრამ არაფერი ვკითხე შოფერს — იქნებ სხვაგანაც სადმე საქმე აქვს-მეთქი.

— საჩქარო, მგონი, არაფერი გვაქვს, — თითქოს ჩემს ნაფიქრალს მიხვდაო, ჩაილაპარაკა შოფერმა, რამაც ცოტა უხერხულობაც კი მაგრძნობინა,—დავიაროთ, ერთი, ჩვენი ქალაქი, დავათვალიეროთ...

— მართლა უცხო არ გეგონო, — ვუთხარი მეგრულად ჩემს გულკეთილ შოფერს.

მან ოდნავ შემოაბრუნა ჩემკენ თავი და ღიმილით მკითხა:

— ჩვენებური ხართ?!

„ჩვენებურობის გარკვევის“ მიუხედავად, შოფერმა სიტყვა არ გადათქვა. მეც სიამოვნებით მივიღე მისი წინადადება. აბა, რა სჯობდა ზაფხულის დილაადრიან ამ ქალაქი-ბაღის დავლას.

ჩვენი „მ-1“ ნელი სვლით მიგვანავებს ზუგდიდის ქუჩებში. ზაფხულის დილის ნიავი სახეზე გველამუნება. მოსარკულ ცის ლაჟვარდში მერცხლები კამარას ჰკრავენ. გინდა მკერდში ჩაიკრა ეს პატარა, მართლაც ქალაქი-ბაღი. ეს არის ნამდვილი ახალი, სოციალისტური სტილის ქალაქი.

ქალაქის ცენტრში, როგორც კი მდინარე ჩხოუშიას ხიდს გამოსცდებით, თქვენს ყურადღებას იპყრობს რესპუბლიკაში ერთ-ერთი ულამაზესი სტენდი, რომელსაც მთელი უზარმაზარი კვარტალი უკავია. აქ თქვენ ნახავთ რაიონის წარჩინებულ, მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილ ადამიანთა — სოციალისტური შრომის გმირთა შესანიშნავ პორტრეტებს, რაიონის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების გამომხატველ დამახასიათებელ ფოტოსურათებს.

სტენდის ცენტრშია ბრწყინვალედ შესრულებული პორტრეტული ნამუშევრები — „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო“.

ყალმის ოსტატებს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით დაუხატავთ დიდი ლენინისა და დიდი სტალინის გრანდიოზული პორტრეტები, რომლებიც აღმართულია სტენდის ორივე მხარეს მის მთელ სიმაღლეზე.

აქედან იწყება ცენტრალური ქუჩა—განიერი, მოასფალტებული, რომლის ორივე მხარეს ილიჩის თეთრი ლამპიონებია ჩამწკრივებული. ეს ქუჩა დიდი ლენინის სახელს ატარებს. იგი შუაზე ჰყოფს ქალაქის ცენტრალურ პარკს, რომელიც მთელი ქალაქის შუაგულშია გაჭიმული, მოედნიდან დაწყებული, ვიდრე სტადიონ-იპოდრომამდე.

სტადიონი! — რაიონის ხელმძღვანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს არის შესანიშნავი საჩუქარი მშრომელებისათვის, რაიონის ახალგაზრდებისათვის. სტადიონ-იპოდრომის გასწვრივ, მის ბოლოს დგას უკვე ცნობილი სახელმწიფო თეატრის შენობა.

ლამაზი, სუფთა, მოკირწყლული და მოასფალტებული ქუჩები, მთლად მწვანეში მოქცეული ახალი ნაგებობანი ამშვენებენ ქალაქს.

ზუგდიდის, ამ მოწინავე რაიონული ცენტრის, აღწერას სპეციალური წერილი დასჭირდება. ახლა ვიტყვით მხოლოდ: ეს შესანიშნავი ქალაქი როგორც რაიონის სამეურნეო სიძლიერის, ისე ქალაქის კეთილმოწყობისათვის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მისაბაძი, ბოლშევიკური ზრუნვის შედეგია.

...მანქანამ გზა განაგრძო სრული სვლით, და მალე დავტოვეთ ქალაქი.

ამ გზას სოფელ ჭაქვინჯისაკენ მივყავართ, ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობისაკენ.

—...სტუმრებზე მოგახსენებდით, — განაგრძო ჩემმა თანამგზავრმა-შოფერმა,—საიდან ჩამოსულს არ ნახავთ აქ—ეს უკრაინიდანო, ეს ბელორუსიიდანო... გაიგებდით: გუშინაც ანთიმოზს... ანთიმოზ როგავას ხომ იცნობთ?... სწვევია აზერბაიჯანელთა დელეგაცია...

მე ვუთხარი, რომ ანთიმოზსაც კარგად ვიცნობ და ზუგდიდიდან ვახლდი კიდეც მოძმე რესპუბლიკის დელეგაციას ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში.

აზერბაიჯანის სსრ ლენქორანის რაიონის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის ოთხი ახალგაზრდა წევრი—დელეგაციის ხელმძღვანელთან ერთად ეწვია ანთიმოზ როგავას სახელმოხვეჭილ, გმირთა კოლმეურნეობას. ჩამოსვლის მიზანი იყო ჩაის კულტურის მოვლა-გაშენებისა და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გამოცდილების გაზიარება. ლენქორანის რაიონში საკმაოდ გავრცელებულია ჩაის კულტურა. კასპიისპირა ზოგიერთი მიდამო თავისი სუბტროპიკული კლიმატითა და ნიადაგით ხელსაყრელ პირობებს უქმნის ამ მცენარეს განვითარებისათვის. და აი გვესტუმრნენ იქიდან კოლმეურნეები, რომ ნახონ ახალსოფლელთა პლანტაციები.

აზერბაიჯანის დელეგაცია ნამდვილი ნათესაური სიყვარულით მიიღეს ახალსოფლელებმა.

დელეგაციამ ნახა ჩაის უხვმოსავლიანი ფართობი, სოციალისტური შრომის გმირთა ჩაის პლანტაციები, გაეცნო ფოთლის კრეფისა და ნიადაგის დამუშავების, სასუქის შეტანისა და გამოყენების აგროტექნიკას. დელეგაციის წევრებმა ახლოს გაიცნეს მათი ტოლი ახალსოფლელი გმირებიც, უფროსი კოლმეურნეებიც, რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს საკოლმეურნეო მინდვრებში მამაცური შრომით.

გვიან საღამოს, კოლმეურნეობის კლუბში დელეგაციის პატივსაცემად კრება-მიტინგი გაიმართა. ეს იყო ხალხთა სტალინური მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი დემონსტრაცია.

რა სიხარულითა და აღფრთოვანებით უციმციმებდათ მაყვალივით შავი თვალები აზერბაიჯანელ ქალიშვილებს, როცა ოქროს ვარსკვლავებით, ორდენებითა და მედლებით მკერდშემკულ ახალშეძენილ მეგობრებს შესცქეროდნენ.

რა მაღალი ოცნებითა და სურვილებით, რა მტკიცე რწმენით წავიდნენ ისინი მშობლიურ სოფელ გირდანში—მიბაძონ ახალსოფლელებს, გამოიყენონ მათი მუშაობის გამოცდილება, გახდნენ შრომის გმირები...

...ჩვენი მანქანა მიჰყვება ფართო გზას. გზის ორივე მხარე მთლიან ბაღნარებს წარმოადგენს, რომლებშიც მოჩანან მეზობელი — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის (სოფელ ყულისკარი) წევრთა კოპწია ოდასახლები. თითქოს შეუმჩნეველია აღმართი, მაგრამ მგზავრი იოლად ატყობს განსხვავებულ კლიმატს. რაც უფრო წინ მივიწევთ, უფრო საგრძნობი ხდება მაღლობის მსუბუქი, ჯანსაღი ჰაერი. ხელმარცხნივ ვრცელი გავაკებაა, შემდეგ ისევ მწვანიანი ზეგნები, რომელთა ჯაჭვი შორიდან მთის შთაბეჭდილებას ტოვებს. თვალმისაწვდომზე მიიზლაზნება თეთრად აქაფებული მდინარე ჭანისწყალი. კვლავ და კვლავ მაღლა ავდივართ. ჭაქვინჯს ვუახლოვდებით. რძისფერი ნისლი, თითქოს ენანება გამოთხოვებაო, სიყვარულით დაჰკონებია ჭანისწყლის ნაპირებს, აქაიქ მწვანით მოსილ ზეგნებსაც შერჩენია მისი ფთილები. ღრუბლის თეთრი ქულები—ნიშანი დარისა — ამაღლებულან ჯიხაშკარზე და ცისკენ მიიწევენ. ლაჟვარდის მერცხლები აქაც კამარას ჰკრავენ.

ჯიხაშკარი! — მრავალდროების უტყუვი მოწმე და მემატიანე წარსულისა. ამაყად აღმართულა მთაზე ეს ისტორიული ციხე-სიმაგრე. ჯიხაშკარი და ჭაქვინჯი სამეგრელოს გლეხთა არა ერთი აჯანყების მოწმე და მონაწილე ყოფილა. აქ იყო, რომ ამ 93 წლის წინათ სამეგრელოს აჯანყებულ გლეხთა სახელით მათი მეთაური უტუ მიქავა—„სამეგრელოს რევოლუციის დანტონი“, როგორც მას დადიანის ქვრივმა, დედოფალმა ეკატერინემ უწოდა, ამბობდა:

„ჩვენში ადამიანური სულიც არ უნდათ დაინახონ. მათი რწმენით ჩვენ ყოველგვარ პირუტყვზე დაბლა ვდგავართ: მოეწონება ბატონს მეზობლის მიმინო და ამ მიმინოში ცვლის გლეხის კომლს, მწევარსა და მეძებარ ძაღლებში კი რამდენიმე კომლს. პირუტყვი უფრო მეტად ფასდება, ვიდრე ჩვენ... ჩვენ დავხეტიალობდით კუთხიდან კუთხეში მებატონეებისაგან თავის დასაფარავად. ხოლო, როცა მათ ჩვენზე ნადირობა დაიწყეს, ჩვენ შევერთდით ამხანაგურად და ძალდატანებას ძალდატანებითვე ვუპასუხეთ... ჩვენი წინააღმდეგობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩვენ მათ (ბატონებს) ჩამოვართვით ჯაჭვები და ხაჯალურები, რომლებითაც ისინი მთელი წლობით გვტანჯავდნენ; გამოვიყვანეთ მათი სახლებიდან დები, ქალიშვილები, რომლებიც ხასებად ჰყავდათ მოახლის სახელწოდებით, და ქრისტიანულად დავაქორწინეთ... სამშობლო ჩვენი ჩვენთვის მობეზრებულია. რაღაა ის სამშობლო, სადაც შეუძლებელია თავის შეფარება, სადაც შენზე, ვით მხეცზე ნადირობენ. ჩვენ... სიმართლის მაძიებელი ხალხი ვართ“.

დიღხანს, დიღხანს მოუხდა სამეგრელოს მრავალტანჯულ გლეხობას სიმართლის ძიება!

ეს—ლიის, ფახულანის, ლეწურწუმესა და მეზობელ სოფელთა, მათ შორის ჯიხაშკარისა და ჭაქვინჯის გლეხები იყვნენ, კვლავ რომ აუჯანყდნენ უსამართლობას 1876 წელს. ამ აჯანყების ამბავი პარიზშიც ჩავიდა და იქაური დეპეშათა სააგენტო სთხოვდა გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქციას — დაწვრილებით ეცნობებინა აჯანყების ნამდვილი მდგომარეობა.

მიზეზი ამ აჯანყებისა — იგივე უმიწობა, იგივე გადასახადები და უსამართლობა, რაც ბატონყმობის გაუქმებამდე გლეხს სულს ხდიდა. აი რას წერს „დროების“ კორესპონდენტი ამ აჯანყების ერთი წლით ადრე სამეგრელოს სოფელზე: „გამოვედით გაზაფხულის პირათ. დაიწყო მშვენიერი დღეები; დღით მზე და ღამით ნამი. გაუხალისდა მეგრელს გული. გლეხები მხურვალედ შეუდგნენ მუშაობას. შეიქმნა აქეთიქით სახნავი ადგილების ძებნა—ვინც მიწაზედ ნაკლებ იყო, მიდიოდა მიწისათვის მებატონესთან, რომელსაც მიწა ბევრი აქვს. ისე გამრავლდა მიწის მაძიებელი, რომ მებატონე ერთსა და იმავე მიწას ორ-სამ კაცს აძლევდა დასამუშავებლად და როდესაც გლეხები მიდიოდნენ მის დასამუშავებლად, ჩუტყდებოდათ ხოლმე ერთი ალიაქოთი და დავიდარაბა, შეიქმნებოდა ჩხუბი“.

მიწისა და თავისუფლებისათვის, იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტის მეთაურობით, აუჯანყდა ცხრაას ხუთში სამეგრელოს გლეხობა ცარიზმს. ამ სოფლებს ახსოვთ მეფის ჯალათ ალიხანოვ-ავარსკის რაზმების ცეცხლი და მახვილი.

უფრო ახლოს — 1918-20 წლებში, მშრომელთა საკეთილდღეოდ და ბედნიერი მომავლისათვის, აქ აქტიურად იბრძოდნენ სამეგრელოს გლეხთა რაზმები; ასეთი რაზმებისაგან რევოლუციონერ საშა გეგეჭკორის მეთაურობით, შეიქმნა „დასავლეთ ამიერკავკასიის წითელი არმია“.

თუ არიან ნეტავ ახლა სოფელში იმ რაზმების წევრი გლეხები, რომლებიც გარს ერტყნენ და თავს ესხმოდნენ სოფლად დაბანაკებულ მენშევიკურ ეგრეთწოდებულ „მფრინავ რაზმებს“?

...მოტორი უკანასკნელად ახმაურდა და მანქანა გაჩერდა.

— მოვედით, — გამომარკვია ფიქრებიდან შოფერმა და კაბინიდან გადმოვიდა,—ესეც ჭაქვინჯი!

თითქოს მთელი გზის მანძილზე მომსდევდა ამ ასწლოვანი ცაცხვების შრიალი, ფრინველთა ეს გალობა-ჟღურტული, მაგრამ გავიგონე კი მხოლოდ ახლა, როცა მანქანიდან გადმოვედი და ფეხი დავადგი ჭაქვინჯის — ამ დიდებული ბაღნარის—მიწას.

ვლადიმერ თოდუა
ზუგდიდი-ჭაქვინჯი

ამხ. მალიკის წერილი ტრიუგვე ლისადმი

[illegible]

ბულგარეთის ნოტა იუგოსლავიისადმი

[illegible]

ინდონეზიის ერთიანი სახელმწიფოს გამოცხადება

[illegible]

ბელგიის კომპარტიის თავმჯდომარის ჟულიენ ლაოს მოკვლის გამო

[illegible]

ფრანგული გაზეთები ბელგიის კომპარტიის თავმჯდომარის ჟულიენ ლაოს მოკვლის შესახებ

[illegible]

ჟულიენ ლაოს ავაზაკური მოკვლა ყველა ქვეყნის მშრომელთა გულისწყრომას იწვევს

[illegible]

თით შეწყვიტონ მუშაობა.

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ტოლიატიმ ბელგიის კომუნისტურ პარტიას გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც გამოთქვამს იტალიის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აღშფოთებას ჟულიენ ლაოს ვერაგულად მოკვლის გამო, „რომელიც დაიღუპა კლერიკალურ-მონარქისტული იმპერიალისტური რეაქციის საზიზღარ დაქირავებულთა ხელით".

კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 19 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 19 აგვისტოს დილით გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლებს ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და სერიოზული ზარალი მიაყენეს მათ.

სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებმაც გუნიი გაათავისუფლეს და შეტევას განაგრძობენ გუნიის სამხრეთ რაიონში, უდიდესი ზარალი მიაყენეს ლისინმანელთა მარიონეტული ჯარების მე-5 დივიზიას, რომელიც ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია.

სახალხო არმიის ჯარები, რომლებიც სამხრეთ სანაპიროს გაყოლებით უტევენ, კვლავ წინ მიიწევენ, გამანადგურებლად ურტყამენ ამერიკის 25-ე დივიზიის ნაწილებს, რომლებიც უკან იხევენ დამარცხების შემდეგ.

აღმოსავლეთ სანაპიროზე მოქმედი სახალხო არმიის ნაწილები მოწინააღმდეგის კონტრშეტევას იგერიებენ და გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან.

ფხენიანი, 19 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 19 აგვისტოს საღამოს გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან, რომელიც მას სასტიკ წინააღმდეგობას უწევს.

ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარები ამერიკის ავიაციის დახმარებით გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწევიან.

აღმოსავლეთ სანაპიროზე მოწინააღმდეგე გადავიდა კონტრიერიშზე იმ მიზნით, რომ სახალხო არმიის ნაწილები განედევნა მათ მიერ დაკავებული პუნქტებიდან, მაგრამ სახალხო არმიის ჯარების დარტყმების გამო მოწინააღმდეგე უკან იხევს და დიდი ზარალი მოსდის.

ამერიკის ავიაცია ბარბაროსულად ბომბავს ზურგში მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. 18 აგვისტოს ამერიკის ბომბდამშენებმა ბარბაროსულად დაბომბეს სამხრეთ ფხენიანის, სამხრეთ ხამგენისა და კანვონის პროვინციების ბევრი დასახლებული რაიონი. დაბომბვის შედეგად დანგრეულია ბევრი საცხოვრებელი სახლი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლია.

ფხენიანი, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფხენიანის რადიო გადმოგვცემს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 20 აგვისტოს დილით [illegible]

თავდაცვითი ნაგებობებს და სასტიკ წინააღმდეგობას ეწევიან.

19 აგვისტოს ამერიკის 12 ავიაგამანადგურებლის სეულზე თავდასხმის დროს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო მტრის 5 თვითმფრინავი. თვითმფრინავები დაეცნენ ქალაქ სეულის დენშოს რაიონში.

ფხენიანი, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფხენიანის რადიო გადმოგვცემს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 20 აგვისტოს საღამოს გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლებს ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც სასტიკ წინააღმდეგობას ეწეოდნენ.

სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო ამერიკის ერთი ბომბდამშენი „ბ-29", რომელიც თავს დაესხა ეონსანს (გენზანი). 18 აგვისტოს ჩამოგდებულ იქნა ამერიკის ოთხი ბომბდამშენი „ბ-29" და ერთი ავიაგამანადგურებელი. 19 აგვისტოს, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჩამოგდებულ იქნა ამერიკის ხუთი ავიაგამანადგურებელი. გარდა ამისა, ჩამოგდებულია ამერიკის ერთი თვითმფრინავი, რომელიც ცდილობდა თავს დასხმოდა კესონს (კაიძიო).

20 აგვისტოს ამერიკის თვითმფრინავები ხუთჯერ დაესხნენ თავს ფხენიანს და უწესრიგოდ დაბომბეს ქალაქი. საზენიტო არტილერიამ გარეკა მოწინააღმდეგის თვითმფრინავები. ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი.

ამერიკის ცნობები კორეაში საომარი მოქმედების შესახებ

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კორეიდან იუწყება, რომ მდგომარეობა ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე ტეგუს (ტაიკიუ) რაიონში „კვლავ კრიზისულია".

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ კორეიდან მიღებული ცნობების თანახმად, ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარებმა შეტევითი ოპერაციები დაიწყეს ფხოხან (ხოკოდო)—კიკჯის რაიონში და ტეგუს (ტაიკიუ) ჩრდილო-დასავლეთით. ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფების სარდალმა ბრიგადის გენერალმა კრეიგმა განაცხადა: „წინააღმდეგობა მეტად გააფთრებული იყო, და ჩვენ გვეშინია, რომ ამდენი ადამიანი დავკარგეთ".

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც კორეაში იმყოფება, გადმოგვცემს, რომ ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა მძიმე ბრძოლების დროს მიაღწიეს ამერიკელთა ხაზს 20 კილომეტრზე მასანის დასავლეთით. ამერიკელ სამხედრო ხელმძღვანელთა მიაჩნიათ, რომ მთავარი საფრთხე რჩება ტეგუს (ტაიკიუ) ჩრდილოეთით.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" სამხედრო მიმომხილველი ბოლდუინი აღნიშნავს, რომ ამასწინანდელ ბრძოლებში ჩრდილოეთკორეელთა მოულოდნელმა დარტყმებმა ამერიკელები აიძულა ხშირად გადაეყვანათ ჯარები ერთი სექტორიდან მეორეში, რათა თავიდან აეცილებინათ გარღვევის ყოველი ახალი საფრთხე. ბოლდუინი აღნიშნავს, რომ ამ ბრძოლების დროს ამერიკელებმა დაკარგეს „ზოგიერთი ტერიტორია".

ინგლისის ცნობები კორეაში საომარი მოქმედების შესახებ

ლონდონი, 20 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან (ტაიკიუ) დაგვიანებით გადმოცემულ ცნობაში იუწყება: ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა გუშინ განაახლეს შეტევა. მათ იერიში მიიტანეს ამერიკელთა პოზიციებზე დაახლოებით 22 კილომეტრზე ტეგუს (ტაიკიუ) ჩრდილო-დასავლეთით. ჩრდილოეთკორეელთა შეტევას წინ უძღოდა ძლიერი საარტილერიო სროლა მდინარე ნაკტონგანის (რაკუტო-კო) გაღმიდან. ლისინმანელთა ჯარებმა, რომლებიც ამ უბანს იცავდნენ, უკან დაიხიეს.

კორეელი ხალხი ხელს აწერს ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას

[illegible]

კორეაში და სამართალში მიცემულ იქნან კორეელი ხალხის გამცემნი. მიმართვას პირველმა მოაწერა ხელი უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კიმ დუ ბონმა.

ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაზე აქტიურად ხელმოწერით კორეელი ხალხი ცხადყოფს თავის ურყევ ნებასა და საბრძოლო სულისკვეთებას. ფხენიანში 18 აგვისტოს მიმართვას ხელი მოაწერა 110 ათასმა კაცმა. ამერიკელთა მიერ დაბომბვით დანგრეულ სოფლებსა და ქალაქებში მასობრივ მიტინგებზე, ომის გამჩაღებელთა ბოროტმოქმედების გამო მრისხანე აღშფოთებასთან ერთად, სულ უფრო ხმამაღლა გაისმის კორეელი ხალხის მოთხოვნა: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ამერიკის სისხლისმღვრელი ინტერვენცია კორეაში".

მუშები და გლეხები მიმართვაზე ხელმოწერისას კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს. მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები, რომლებიც ხელს აწერენ ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას, გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას ყველაფერი მოახმარონ სამშობლოს, რათა მალე განხორციელდეს ამ მიმართვაში გამოთქმული მათი სურვილები.

ქალაქ ზესტაფონის კულტურისა და დასვენების პარკი. **სურათზე:** ახალგაზრდები მოგზაურობენ საჰაერო გზით.

ფოტო რ. აკოფოვისა

ბოლესლავსკი—ბრონშტეინის საჭადრაკო მატჩი

19 აგვისტოს დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის კანდიდატების გროსმაისტერების ი. ბოლესლავსკისა და დ. ბრონშტეინის მატჩის მე-10 პარტია.

პარტიის დამთავრებისას პარტნიორებმა გააკეთეს სულ 7 სვლა. მხარეთა შანსები სავსებით გათანაბრდა, და პარტია ყაიმით დამთავრდა.

მატჩის მდგომარეობა 10 პარტიის შემდეგ ასეთია—5,5 : 4,5 ბრონშტეინის სასარგებლოდ.

ფიზკულტურა და სპორტი

საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა

6 აგვისტოს თბილისში დაიწყო მე-12 ტრადიციული სპარტაკიადა, რომელშიც 23 საფაბრიკო-საქარხნო ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობს.

სპარტაკიადის პროგრამაში შედის მძლეოსნობა, ცურვა, ბაგირის გადაჭიმვა, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, შაში და ჩოგბურთი. სპარტაკიადა 25 აგვისტომდე გასტანს.

დაიწყო საქართველოს სსრ 1950 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში

17 აგვისტოს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ფეხბურთის მოედნებზე დაიწყო საქართველოს სსრ 1950 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში.

წელს თასის გათამაშებაში მონაწილეობს საქართველოს 44 საუკეთესო ფეხბურთელთა გუნდი, მათ შორის თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის, ავტოსარემონტო ქარხნის, ოფიცერთა სახლის, „ბოლშევიკის", ბათუმის „დინამოს", სოხუმის „დინამოს", ქუთაისის „დინამოს", ფოთის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოსა" და სხვა ქალაქებისა და რაიონების ფეხბურთელთა გუნდები.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

20 აგვისტოს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩები ფეხბურთში. თბილისის „სპარტაკმა" მოუგო სტალინოს „შახტიორს", ანგარიშით 2:0. მოსკოვის „სპარტაკმა" დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი", ანგარიშით 6:1. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" და რიგის „დაუგავას" ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა კუიბიშეველთა გამარჯვებით, ანგარიშით 3:0. მოსკოვის „დინამომ" მოუგო მინსკის „დინამოს", ანგარიშით 5:1. სტალინგრადის „ტორპედოსა" და ლენინგრადის „დინამოს" შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1. ხარკოვის „ლოკომოტივმა" დაამარცხა ერევნის „დინამო", ანგარიშით 2:0.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

23 აგვისტო

7.20 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის: „გავადიდოთ ყურძნის მოსავლიანობა სელექციის გზით". 9.15 — რუმინული მუსიკის კონცერტი. 17.20 — საბჭოთა კომპოზიტორების მილიუტინის, სოროკინის და სოლოვიოვ-სედოის სიმღერები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე—„მალე სკოლაში" (მიკროფონთან მოსწავლეები). 18.20 — კონცერტი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ე. გოსტენინას შესრულებით. 19.15 — სავიოლინო მუსიკის კონცერტი. 20.30 — საფორტეპიანო მუსიკა. 20.45 — ლიტერატურული გადაცემა—ნაწყვეტი კაზაკევიჩის მოთხრობიდან „ვარსკვლავი". 21.05 — შალვა მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური". 21.40 — გადაცემა სამხედრო მოსამსახურეთათვის. საუბარი: „ომის გზა—იმპერიალიზმის დაღუპვის გზაა". 22.00 — კონცერტი სამხედრო მოსამსახურეთათვის. 23.00 — პოპულარული მუსიკის კონცერტი.

აღრიცხვის მუშაკთა კადრების მომზადების სამმართველოს საქართველოს სასწავლო კომბინატი სამინისტროებისა და ორგანიზაციებისათვის ხელშეკრულებების საფუძველზე თავის ფილიალებში (თბილისი—წყალსაზიდის, 5, ბათუმი — ჯაფარიძის, 19, ქუთაისი — ტელმანის, 19, თელავი — ნინოშვილის, 8, სოხუმი — კიროვის, 32, გორი და სტალინირი — ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსპექტურა, სიღნაღი — ქალთა საშუალო სკოლა, მახარაძე—სტალინის, 26, ფოთი—აკაკის, 14), აწარმოებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ბუხჰალტრებისა და მოანგარიშეების მომზადება-გადამზადებას.

თბილისში იხსნება კოლმეურნეობებისათვის ბუხჰალტერთა მომზადების სპეციალური ჯგუფი. კურსებზე მიიღებიან ინდივიდუალური შემომსვლელებიც.

სამამულო ომისა და შრომის ინვალიდების სწავლება უფასოა.

განცხადებათა მიღება გრძელდება.

დაწვრილებითი ცნობები გაიცემა ფილიალებში.

თბილისში ცნობები გაიცემა წყალსაზიდის ქ. № 5 საღამოს 6-დან 10 საათამდე. ტელეფონი დღისით 3-31-01, საღამოს 3-03-09.

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
აცხადებს ასპირანტურაში მიღების კონკურსს შემდეგ სპეციალობებში:
1. თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტი (მუსიკის თეორია)
2. საორკესტრო ფაკულტეტი (ვიოლინო და ფლეიტა)
განცხადებები მიიღება 5 სექტემბრამდე.
საკონკურსო გამოცდები სპეციალობაში 8 სექტემბერს.
ასპირანტურაში შემსვლელებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები შემდეგ საგნებში: 1. სპეციალობა, 2. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, 3. უცხო ენა, 4. კოლოკვიუმი (მუსიკალურ-თეორიულ საგნებში).

მოქალაქე **ალექსანდრე ივანეს-ძე ივანოვმა,** მცხოვრებმა ქ. თბილისში შაუმიანის ქუჩა № 76-ა, აღძრა საქმე ქალაქ მოსკოვში სტალინის რაიონი, 1 მაისის ქუჩა № 27-ზ მცხოვრებ მოქალაქე **ლიუდმილა ნიკოლოზის ასულ ივანოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე პაშა, შვილი გერონტი, რძლები ლიზა, ეთერი შვილებით იუწყებიან მიხა **ნონიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 22-VIII, 6 ს. ბაზის ხევის, 8 (26 კომისრის რაიონი).

შ. ჭალაგანიძე, ა. გეკუბევი, ე. ლილუაშვილი, ნ. სესიაშვილი, ო. ხაჟალია, თ. გონგლიაშვილი, ვ. გურგენიძე, ლ. არეშევი, შ. ხვიტია, ნ. სარჯველაძე, ქ. კახოიანი თანაგრძნობას უცხადებენ გ. ფანჩულიძეს მისი მამის **პოლიკარპე ფანჩულიძის** გარდაცვალების გამო.

შვილები ნინო, თამარ, ელენე, სიძეები მიშო ვარსიმაშვილი, გიორგი ქლივიძე, ლევან ამირაჯიბი შვილებით და შვილიშვილებით იუწყებიან **ოლღა ნიკოლოზის ასულ ქურთიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-VIII, 8 ს. გამოსვენება 24-VIII, 6 ს. სუნდუკიანის, 8.

ნუცა, აბო, ვახტანგ, ნინო, ლილი, მარგო ხვთისიაშვილები, ოლა, ნინო, ხელაშვილები, კოლია სულაძე იუწყებიან **მელო ილიას ასულ ხიუმაშვილი-ბეროზაშვილის** გარდაცვალებას.

შვილი თენგიზ ბაბუნაშვილი, შურა ელიოზიშვილი, დები ნადია, დორა, დისწულები თამარ, ვერა კანდელაკები, მარადი სარგისაშვილი, სიძეები გ. სარგისაშვილი, პ. ტორონჯაძე, გ. თუშიშვილი იუწყებიან [illegible]

[illegible]

ნიჭიერი, ქ. ვართანოვი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნ. მ. რუხაძეს მისი მამის **მაქსიმე ივანეს-ძე რუხაძის** გარდაცვალების გამო.

მშობლები ნადია, იაშა, ბებია ელპიტო, ბაბუა ლუარსაბ, მამიდები ოლია, თლლა, ვალენტინა, ბიძები ბიჭიკო, კოლია, აკაკი, ბიცოლები მარო, ნათელა, ბიძაშვილები თინა, ზამირა, ირაკლი სირბილაძეები იუწყებიან პატარა **იური სირბილაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სემიპალატინსკში.

მშობლები ნიკო, ანასტასია, მეუღლე ლუბა, შვილები ნუნუ, გურამ, ძმები შალვა, ლადო, და თამარ გაბუნიები, რძლები ეფრო ფაჩულია, ნინო თარგამაძე, ძმისშვილები ციალა, ლამარა იუწყებიან **ნიკოლოზ (ბუტუშა) ნიკოლოზის-ძე გაბუნიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-VIII, 8 ს. გამოსვენება 24-VIII, 6 ს. რუსთაველის პროსპ. № 23.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ძაგანიას მისი ბიძის **მაქსიმე პეტრეს-ძე ძაგანიას** გარდაცვალების გამო.

[illegible] მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და [illegible] და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვებისი—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორისა—3-77-70

[illegible] ქ. № 14. უე 05403